საშაბათი, 1918 წ. მარტის 6 № 154

ფასიანი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ. რაკ. გზის სადგურებზე [illegible]

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და გარეთ გვერდზე. წერილში უნდა ადნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უმარტივეს გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ აწარმოებს.

რედაქცია დაია დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების ადგილ პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის აღრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის აღრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ადმინისტრაცია

„საქართველოს“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ხაზი თვით და ეღირება—18 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 40 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს კარეშე მყოფ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანგრძლივ განცხადება თითოჯერ ბოლოთ: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მიმართავთ განცხადება ერთ ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა გვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა დაია დილის 10 (ეს. ტელ.) საათიდან 8 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა. **15—73**

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო

აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ სამშაბათს 6 ს აგვისტოს, სიონის საკათედრო ტაძარში შესრულებული იქნება მიტროპოლიტ-ბისაგან ლიტურგია სრულიად საქართ. ქათ.-პატრიარქის

კირიონ მე-II-ს

გარდაცვალების მეორმოცე დღეს.

დარმად დაბეწერებულნი მშობლები: ლიზა და ილია, და მარიამი, ძმები ლათა და მიტო გარსევანიშვილები, მამიდა დავითის ასული ყანჩაველისა, ბიძები ილიკო და კოლა კობახიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 ივლისს, ახალი სტილით 8 აგვისტოს, გორის ოქრონის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი ღლის წირვა და პანაშვიდი

გიორგი ილიას ძე გარსევანიშვილის

სულის მოსახსენებლად. 1—1730—1

ქართულ-გერმანულ

კულტურულ საზოგადოების

წევრობა მოგადეობია ყოველი ქართველი ინტელიგენტისა.

საჭირო საზოგადოების გაძლიერება წევრთა სიმრავლით და ნივთიერის დახმარებით.

ვისაც სურს და ჯერ კიდევ არ ჩაწერილა, ეხლავე შეუძლია ჩაეწეროს ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების წევრათ თამარ ჯავრიშვილის ასულთან, ფრეილინის ქ. № 11, ერეკვნულ საბჭოს ქორეობათა სამმართველოში, 9—3 სათ. და გერმანელთა ერეკვნულ საბჭოს ჩინაზე კირხეს ქ. 25 ივლისს 10—12 ს. და სადამოს 6—8 საათ. 5—4

ლატარია

აგარაკ ქვიშხეთში საუკეთესო კარმიდამოს ჩამონაბერი 300 ოთხ-კუთხი საქონი მიწა, აღნიშნული ცალკე კლანზე და დეკრეტის მხრივ უოვლად უდავო.მოგებს შეუძლიან რა დროსაც სურს დაიმტკიცოს.

ლატარიის ბილეთები ათას ორმოცდა ათი (1050) ცალია. ბილეთი ღირს 20 მანეთი. ბილეთების წიგნაკები კეთილ პირებს აქვს დარიგებული გასაყიდათ. უკვე გასყიდულის წიგნაკების ფული უნდა ჩაბარონ ლატარიის ფულის ბანინადარს გიორგი ლეგარსაძის ძე მაჭავარიანს (ნატარიუსი, ერევნის მოედანი სასტუმრო „კავკაზის“ ეზოში). როდესაც სულ გაიყიდება ბილეთები, გამოცხადდება დღე ლატარიისა, რომელსაც დაესწრობიან ბილეთების მყიდველნი. იქ ღღეს ლატარიას მოაწყობენ ამისათვის საგანგებოთ მოწვეულნი პირნი: ბ.ბ. დავით გურგენიშვილი, პეტრეს გოლუა და კოტე მაყაშვილი.

საქართველოს ერეკვნულ- დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის კომიტეტი.

გეროლტი ქიქოძის

წიგნი

ეროვნული ენერგია

წერილების კრებული

(პოლიტიკა; ეკონომიური ცხოვრება; ხელოვნება)

გამოცემა ეროვნ.-დემ. ახალგაზრდობის ორგანიზაციისა.

ნაბეჭდია ეროვნისთვის პირველ რიცხვებში. 5—5

ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიგზავნიან მრეწველობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც ჰსურს რისამე დაგზავნა სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის სყიდვის შესახებ, ესთხოვთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და განუცხადონ თავიანთი სურვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

გაქოს დაცემა

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ კავკასიონის ქედის გადმოღმა უკვე დამთავრდა ეგრედ წოდებულ „საბჭოთა მთავრობის“ ძალა-უფლება. დასავლეთით—შავი ზღვის პირას—გენერალ მაზნიაშვილის ჯარმა მიაღწია საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და რუს-ბოლშევიკთა ბრბოები განდევნა პორტ ფოთამდინ. უკანასკნელ დღეებში კი, თანახმად საგენერალოს დეპეშებისა, ოსმალთა ლაშქარმა იძულებულ ყო ბოლშევიკები მიეტოვებინათ ქალაქი ბაქო. უკანასკნელი ამბავი საბრძოლიანად ჩაითვლება სენსაციურად, იმდენად ლიდი ბაქოს, როგორც მწარმოებელ და ეკონომიურ ცენტრის, მნიშვნელობა ევროპის ყველა სახელმწიფოთათვის. რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ კარგად იცოდა, რას წარმოადგენს ბაქო და მომგები. ბაქო უკიდურესობამდე გაძეალტყვებულ „ფედერალიტულ რესპუბლიკისათვის“, ამიტომ ასეთი თავგადადებით იცავდა რუსეთის მრეწველობის უკანასკნელ ციტადელს, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ ოსმალეთის ლაშქრის ადერბეიჯანში დამკვიდრების შემდგომ ბაქოს ღლენი დათვლილად უნდა ჩათვლილიყო. არ შეიძლება ითქვას, რომ შაუმიანცის განკარგულებაში სუსტი სამხედრო ძალა ყოფილიყოს, პირიქით, ჩვენის ცნობით, როგორც ბაქო, აგრეთვე მთელი ნავთის რაიონი მშვენივრად ჰქონდათ გამაგრებული ბოლშევიკებს და ჯარიც, ყოველს შემთხვევაში, რამდენჯერმე ადემატებოდა ქალაქის ამღებ ოსმალ-ადერბეიჯანელების ნაწილებს, მაგრამ „შინაური მტრებთან“ მრისხანე და უძლეველი ბოლშევიკური წითელი ჯარი მუდამ პანიკით შეპყრობილი გარბის ცოტად თუ ბევრად რეგულიერულ ჯართან შეტაკების დროს. ჩვენ დარწმუნებული ვიყავთ, რომ ოტტომანის იმპერიის ლაშქარს სტრატეგიულ მოსაზრებათა გარეშე მდგომი მიზეზები არ აძლევდნენ ამ ხნობამდე საშუალებას ეწარმოებინათ ენერგიული ოპერაციები ბაქოს მიმართულებით და, თუ ღღეს ადერბეიჯანისა და ოსმალეთის ჯარმა სიცხოველეში მიიყვანა მაჰმადიანთა დიდი ხნის ნატვრა, უნდა ვიფიქროთ, რომ ბაქოს ადება არის აქტი უმეტესად პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობისა. იმ სახელმწიფოთათვის, რომლის გაგლენისა და მფარველობის ქვეშ იმყოფებიან კავკასიაში ადმოცენებული დამოუკიდებელი თუ ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები, სულ ერთი არ არის, ვის ხელში იქნება უდიდესი და უმდიდრესი სამრეწველო ცენტრი. პირველის შეხედვით, გერმანეთის სამხედრო მისია თითქოს არ ერეოდა ბაქოს ბედის გადაწყვეტაში და მოწინააღმდეგეთა ძალთა განწყობილებაზე მიუნებებინა საკითხის გამორკვევა, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გერმანეთს სხვებზე მეტად თუ არა, არა ნაკლებ აინტერესებს ბაქოს მდგომარეობა, შესაძლოდ ხდება განვაცხადო, რომ მოკავშირე ოსმალეთის ჯარის უკანასკნელი ღღეების შეტევა ბაქოზე გერმანეთის სამხედრო მისიისათვის დაფარული არ ყოფილა. დამტკიცებას არ საჭიროებს, რომ არსებულ საერთაშორისო პირობებში გერმანეთისათვის ხელსაყრელია ბაქოს გადაცემა ადერბეიჯანისათვის, როგორც, პოლიტიკური მოსაზრებით, ასევე უმთავრესად ეკონომიური შედეგების გათვალისწინებით, ვინ არ იცის, რომ ნახევრად ველური ოსმალეთი ვერ გამოიყენებს ბაქოს და ეს მთელს დედა-მიწის ზურგზე შესანიშნავი სამრეწველო ქალაქი მის ხელში დაქვეითდება და მთლად მოკვდება. აშკარაა, რომ ბაქოს სიმდიდრის ექსპლოატაციას სათავეში ჩაუდგება გერმანეთი. ცენტრალ ევროპის კოალიციის მეთაურის ალმოსავლეთის მისია არ დამთავრებულ: ძალვა-მოსილი და უკულტურესი შეერთებული იმპერია იკავებს ახალს გზებს, იგი აწყობს გენიალურ საერთაშორისო კომბინაციებს, მიჰმართავს მარჯვე საშუალებას გაგლენისა და ძალიერების განსამტკიცებლად. ადერბეიჯანს, უკეთუ მას შერჩა სახელმწიფოებრივი სახე და დამოუკიდებლობა, ბაქო გადაეცემა, როგორც პოლიტიკური ცენტრი, სატახტო ქალაქად, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ აქ ქალაქს დაეპატრონოს იგი, ან და მისი სულის ჩამდგმელი ოსმალეთი. ჩვენ ვამბობთ: ბაქოს წინააღმდეგ ოპერაცია არ არის დამოუკიდებელი და სეპარატიული ნაბიჯი ოსმალ ადერბეიჯანის მხრიკისა; ბრძოლაში განზე მდგომმა გერმანეთმა ოსმალეთის ჯარს აადებინა ბაქო და ამით რუსეთის და ნაწილობრივ ინგლისის სასიცოცხლო ინტერესებს სასიკვდილო ლახვარი ჩასცა.

სომხები და კადეტები

ჩვენ ვამტკიცებდით და ეხლაც ვამტკიცებთ, რომ „ნეტრიდნაია სვობოდა“ არის უცხო ერის �eთი და მას უფლება არა აქვს ჩაერიოს ჩვენს საქმეში, მაგრამ ჩვენ ბრძენი სოციალდემოკრატია ამას ხელს აფარებს „სიტყვის თავისუფლების“ პრინციპით. ახლა თქვენ წაიკითხეთ კვირის ნომერი და დარწმუნდებით ვისა ეს გაზეთი. მოწინავე წერილში გაეცნიანა მწყობრი პარაღელი, თუ როგორი დემოკრატიული ქვეყანა სომხეთი და როგორია ეროვნ ანტიპოდია—საქართველო. უმთავრესი საბუთი ამისა ყოველ თვით სახელწოდებაში: საქართველომ დარქვა სახელად „საქართველოს რესპუბლიკა“ (Грузинская республика) და სომხეთმა კი „რესპუბლიკა სომხეთისა“ (Республика Армения)—ეს სადემდის მიდის ადამიანის დგარძელი ერთისადმი და სიყვარული მეორისადმი, რომ თვით სახელწოდებაც კი „ფილოსოფიურ აზრეს“ ჰპადებს ჩვენი მტრების გონებაში. უნდა წაიკითხოთ რა სიყვარულით ახსენიებს ყოველ ნაბიჯს სომხური მთავრობისას და როგორი გულით ასეთსავე ნაბიჯებს—ჩვენი მთავრობისას, რომ დარწმუნდეთ ვისი ენით, გულით, სულით და ფულით ლაპარაკობს ეს „კადეტების“ გაზეთი. თითქო ჩვენ არ ვიცოდეთ, რომ რუსის კადეტები ისევე, როგორც მონარხისტები აქამომდე, და ყველა ჯურის რევოლუციონერები ამას იქით უნდა დ ეყრდნონ სომხებს—საქართველოს წინააღმდეგ, რუსეთის ცარიზმი ეყრდნობოდა სომხებს და ნაციონალისტების და მათი ცოლების შემწეობით აძლიერებდა სომხურ ელემენტებს ამიერკავკასიაში და მეტადრე საქართველოში, რადგან, სხვის წასახდენად კი კარგნი არიან. ცარიზმი იყენებდა სომხებს, როგორც რეაქციონურ იარაღს საქართველოს დემოკრატიზმის წინააღმდეგ და ახლა კადეტები (?) არწმუნებენ ქვეყანას რომ სომხეთი უფრო დემოკრატიულია, ვიდრე საქართველო—ამას ხომ ბატის ეუბნებიც ადარ დაიჯერებენ ჩვენს დროში. მაგრამ ჩვენ უნდა დავიჯერეთ, რომ დაშაკაკანები, რომელნიც რუსეთს ხელმწიფობის დროს ოფიციალურად ითვლებოდნენ და რეაქციის ბურჯად და ეანდარმერიას უწევდნენ დახმარებას რევოლუციონურ მოძრაობის გასანადგურებლად“—დღეს, სომხეთის ბედის გამგენი—უკიდურეს დემოკრატიზმით განიმსჭვალნენ—კადეტების შთაგონებით ადგენ. „Послушай, врви, да знай же мѣру“—ამაზედ გითხრათ თქვენმა კრილოვმა. საკვირველი არ არის გენა, რომ სოციალისტ-რევოლუციონერები და ბოლშევიკებიც ამ უკიდურეს „დემოკრატიას“ ისევე ელოლიავებიან, როგორც კადეტები და ნაციონალისტნი? არა არ არის საკვირველი—ყველა ეს ჩამოთვლილი რეაქციონერები, ლიბერალები და რევოლიუციონერები—რუსები არიან და რუსეთის ინტერესებიდან გამოდიან—ეი ძირი ყველა ამ ლათაებისა და მარტო ჩვენ ეულ ურყველა სოციალისტებს თუ მოატყუებენ.

თურმე სომხეთში არც რუსს ჩინოვნიკებს სდევნიან და საქმის წარმოებაც რუსულად ხდება—ეს ისე გაკვრით—ამ დემოკრატიულ ქვეყანაში ბიუროკრატიულ ჩინოვნიკებს „დირსეულად“ რაცხვენ.

„ვასაკვირველი არ იქნება, სწერს, გაზეთი, თუ თავალი ბევრი თბილისის „უცხოელისა“ მიმართული იქნება თანაგრძნობით არა ნაციონალისტების ბედდარ სასახლისაკენ, არამედ სომხის მთავრობის თავმდებად რეზიდენციისაკენ—ერევანში; თუ მათი გული ატოკდება სიმპატიით არა რუსეთის დემოკრატიისა წინანდელ კერპებისადმი—მაღალ ბელადებისადმი ქართულ სოციალ-დემოკრატიისა, არამედ ნაკლებ ცნობილ მოკავშეებისადმი, ნორჩი სომხეთისა“. და ბოლოს ასე: wiwat Armenia! ალნიშნულ პარაღელს აქვლია უკანასკნელი აკორდი: ძირს საქართველო! და ჩვენ ვეკითხებით ამ „თბილელ უცხოელებს“ რა უშლით განა, თავალისა და გულის გარდა, ფეხებიც აუტაკიდეთ სიმპატიით სომხეთისადმი და აქ თბილისში დგარძლის თესვის მაგიერ,—გაემართნენ ერევანში თავის სიმპატიურ დემოკრატიასთან? ან ვეკითხებით მთავრობას და სოციალ-დემოკრატიას—არიან ასეთ აზრების მქონენი ჩვენი ქვეშევრდომები, რომელთაცა აქვთ ხოლმე ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში თავისუფლება სიტყვისა თუ არიან უცხოელები, რომელთაც ასეთი თავისუფლება არც ერთ ქვეყანაში არა ექვთ, რადგან მტრები არიან. მაგრამ მაინც ჩვენი გულწრფელი სურვილია ეხლაც ისევე, როგორც ომის დასაწყისში, გერმანეთი კარგად მოეწყ ს—იმიტომ კი არა რომ გვეყვარს სომხები, არამედ იმიტომ რომ ამაზ ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს,—და ამიტომ ეს უფრო გულწრფელია, ვიდრე კადეტების სანტიმენტალობა, რომელთა ბელადმა, მილიუკოვმა, როგორც კი დაიკარგა რუსის ჯარმა სომხეთი, დასწერა ცნობილი წერილი: „რის ავტონომიაო, სომხები კმაყოფილნი უნდა იყვნენ, თუ მათი ქვეყანა რუსეთს შეერთეთო“—ეს დაავიწყდათ სომხებს (მოიგონონ გოდება ჩალხუშიანისა და სხ), დაავიწყდათ კადეტებსაც და ეხლა უტიფრად აგონებენ ამ უტიფარ მილიუკოვის აზრებს—რომელიც თანაგრძნობას სომხეთის ერისადმი. სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა.

ჩვენ არა გვწამდა, რომ სომხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰქმნიდეენ დიდ სომხეთს და ამიტომ ურჩევდით თავიანთ ქერქში ჯდომას—ისტორიამ გაამართლა ჩვენი წინასწარმეტყველება და, საუბედურად, დაშნაკცაკანებმა გააწყვეტინეს ოსმალებს ნახევარი სასომხეთი. ჩვენ არა გვჯერა რომ სომხები შეჰქმნიან ჰატარა სომხეთსაც, რადგან შემოქმედებითი ნიჭი არა აქვთ და კადეტები თუ გაბლა ელაქუცებიან, ეს კარგად უნდა იცოდეს სომხის ხალხმა მხოლოდ იმიტომ, რომ სურთ კვლავ გამოიყენონ სომხები, როგორც სხვა ერთა დამარდევადი ელემენტი, როგორც ავადმყოფობა, ან ეპიდემიის ბაციალები, რომელსაც კარგი პოლიტიკოსი, განგებ ასაზრდოებს ექიმივით—განსაზღვრული წესითა „რესპუბლიკა სომხეთისა"—ეს ის შრატია, საცა კადეტებსა სურთ ააყვავონ საკვლევითი ოსმალეთის, ამიერკავკასიის და სხვა დამარღვევი ფერმენტი; და ნუ ავიტანენ ასეთ ანკესს სომხები.

ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესი კი ნამდვილად მოითხოვს სომხების სახელმწიფოს არსებობას, რადგან მაშინ შეწყეტილნი ადარ იქნებიან და ჩვენს ქვეყანას ადარ შემოესევიან კალიასავით, როგორც ეხლა, მაშინ იმათაც ვინც უკვე აქ არის, არა მარტო სიმპატიით, არამედ ინტერესითაც აუტოკდება გული და წავა თავის სამშობლოში—ეს კი ჩვენთვის დიდი შეღავათია. დაიჯერეთ, რომ ჩვენთვის სასარგებლოა სომხების ქვეყნის არსებობა—აკი ჩვენმა სომხურად გაწვრთნილმა მინისტრმა კიდეევაც გადასდო ამ უიმედო საქმისათვის ოთხმოცი მილიონი—მაგრამ განა კადეტები ამას ხელს შეუწყობენ?—არ დაიჯერო! კადეტების ლიდერმა უკვე მაშინ გითხრათ, როცა ჯერ მთავრობაში არ იყო: „უნდა გიხაროდეთ, თუ შემოგიერთეთო" და ჩვენ კი გეუბნებით: გაგვებარდება თუ ცალკე სახელმწიფოს დაარსებას ვიარეგებთ, რადგან თქვენ შემოერთებას არაფერი სახეირო არც როდისმე მოუტანია და არც როდისმე მოგვიტანს.

რაე

სოციალ-დემოკრატები და ოსეთის აჯანყება

სოციალ-დემოკრატები ძალიან ცუდი დამფასებლები გამოდგენ ჩვენი ცხოვრებისა მოვლენებისათვის.

თუ ექიმმა სწორი დიაგნოზი ვერ დაუსვა ავადმყოფს, რაც უნდა კარგი წამალი მიაწოდოს მას, თავის მიზანს მაინც ვერ მიაღწევს.

ეი ესეთ ექიმებს გვგონებენ ჩვენებური მენშევიკები.

საბარალიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხშირად ისინი ყოველივე ზომას იღებენ რომ მოსპონ რაიმე ანორმალური მოვლენა, მაგრამ მისთვის, რომ ეს ზომები წვდებიან არა თვით საფეხეს, არამედ მხოლოდ მისგან წარმოშდგარ შედეგებს, მათი ზომებიც მხოლოდ პალიატივებთ ხდებიან.

ამ უკანასკნელ ხანებში ოსების საკითხმა ძალზე შეაწუხა ჩვენი მთავრობა და, განსაკუთრებით მისი საგანგებო უწყება, რომელსაც ცოტა შრომა არ დასჭირებია მათის აჯანყების ჩასაქრობად. ჩვენ ვიცით, რომ ეს მოძრაობა სწრაფად მოვდო ოსებით დასახლებულ ადგილებს და მასიური აჯანყების ხასიათი მიიღო საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ ოსების საკითხი, მარტო საქართველოს რესპუბლიკის დაარსების შემდეგ არ წარმოშობილა და თავისი ისტორია აქვს, რითაც ხელმძღვანელობდა ძველი რუსეთი, როდესაც მათი დასახლებით, სოლიდით სჭრიდა ჩვენს ტერიტორიას.

მაგრამ რას ამბობენ ამის შესახებ სოციალ-დემოკრატები:

„ოსების მოძრაობა არ არის მოძრაობა ეროვნული, არამედ სოციალური ხასიათის ბოლშევიკების მეთაურობით". და თუ ქართველებშიც ჰქონია ადგილი ესეთ გამოსვლებს, მაშინ „ოსების მოძრაობა არ შეიძლება ჩაითვალოს მოდალატურად".

ესე ამბობს შანაგან საქმეთა მინისტრი.

ოსების გამოსვლა—ეს არის ნაციონალისტების პროვოკაცია ბოლშევიკების მეთაურობით.

ეს ახასიათებს აჯანყებას, გაზეთი „ერთობა".

რა საშუალებაა ამ მოძრაობის ჩასაქრობად?

სოციალდემოკრატებს ამისთვის შესაფერი რეცეპტიც დამზადებული აქვთ. ალ. ლომთათიძემ სთქვა:

„თუ დავაკმაყოფილეთ ოსები მიწის საკითხის ჯეროვანად გადაჭრით, ოსები ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო დამცველები იქნებიანო".

ჩვენს მტკიცება, რომ მიზეზი ამ აჯანყებისა სრულებით სხვაგან არის დამარხული და მარტო სამ ოს ნაციონალისტთან არ მიდიან შეთქმულებად თავდასხმით დაწყება, გაიხსენეთ ოუნდაც დენიის ფლოტის დაპყრობა ინგლისის მიერ ნაპოლეონის დროს, ინგლისის ომიანობა საფრანგეთთან და სულ უკანასკნელი ომი იაპონია რუსეთისა, რომელიც დაიწყო იგივე მიზეზომით გაუფრთხილებლათ იაპონიის მიერ. ამისათვის მთელი გერმანეთის საზოგადოება და პრესა ერთბაშათ, ერთის ხმით ამბობდა ინგლისის სურვილებისა გამო ომის შესახებ, თუმც დიპლომატიის საშუალებით ინციდენტი ამოიწურა მით უმეტეს, რომ გერმანიის ფლოტი ახალ გემების რიცხვით, მაგრამ ეს მოვლენა საბაბი შეიქნა მისთვის, რომ გერმანელ ყველა პერიოდულ გამოცემებში პუბლიცისტებსა და სტრატეგებს გეშეტყინათ გერმანეთის მდგომარეობა ომიანობის შემთხვევაში, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ თუ რა ჯვეფებათ დაიყოფოდა კულტურული კაცობრიობა. მე ძალიან კარგად მახსოვს გერმანულ პუბლიცისტების: რიარბახ, მირბახ, ბრანდენერგ და ლამბრეხტის წერილები ამ კავშირთა ჯგუფების შესახებ და მათი საქმეთა მნიშვნელობის შესახებ; განსაკუთრებით გენერალ კრიუგერის მიმოხილვა. ყველა წერილებიდან საერთოთ შემდეგი უტყუარი და მეჯოთი აზრი გამოსჭიოდა: გერმანეთს არ უნდა ქონდეს იმედი მოკავშირეებისა, რადგან ბგეთგები მას არ ამოუზნდება. მხოლოთ ავსტრო-უნგრეთზე არაფის შეუტანია იქვი და ოსმალეთის იმედიც ჰქონდათ. იტალეთი და საფრანგეთი რომ ინგლისა და რუსეთის დაუკავშირდებოდა გერმანეთის წინააღმდეგ, ეს საეჭვოა. მო ქეშმარიტებათ მიაჩნდათ ყველას, მით უმეტეს ინტელიგენტს, გერმანიაში. მხოლოთ ბალკანეთის ომის შემდეგ 1912 წ. საგანგებით გაირკვა, რომ რუსეთის დიპლომატიის მომაკვდინებელ შეცდომის გამო (სერბეთის ძალზე გაძლიერება ბულგარეთის ხარჯზე) ბულგარეთი გერმანიას დაუახლოვდებოდა; ეს პრაქტიკულათ გამოიხატა ფინანსიურ დახმარებაში, რომელიც გაუწია გერმანიამ ბულგარეთს მის ომის შემდგომ კრიტიკულ მდგომარეობაში, რის საბაბელოთ გერმანიას ბულგარეთმა სიამოვნებით დაუთმო მის მიერ მოთხოვნილი კონცესიები. ფერდინანდ მეფემ, ოსმალეთთან ომში ბრწყინვალეთ გამარჯვებულმა, მაგრამ დიპლომატიაში რუსეთის ხრიკებით სასტიკად დამარცხებულმა, მწარე სიტყვებით გამოსტუმრა შინ თავისი არწივი გენერლები: „დამბრუნდით შინ თქვენდა მოსასვენებლათ და მშვიდობიან საქმიანობისათვის. ნუ დაიფიწყებთ, რომ თქვენთვის სახელოვან ბრძოლებში თქვენ ბრწყინვალეთ გამიმარჯვეთ. გახსოვდეთ, რომ საშშობლოს ზიანი და თქვენს გმირულ ნამოქმედარს ჩრდილი შიაყენა სწორეთ იმ მხარემ, საიდანაც ამას ნაკლებად ველოდით. ნუ დაიფიწყებთ, გახსოვდეთ ეს, ნურას გზით გულს ნუ გაიტეხთ და საჭიროების დროს სიხარულით და ხალისით გამოდით მოწოდებისამებრ ჩვენი ძვირფასი ქვეყნისადმი მოყვნებულ სირცხვილის წასარეცხად". ფერდინანდმა მიდლობის ტონით საქვეყნოდ გაიცხადა, რომ ბულგარეთის არმიის გამარჯვება დაყრდნობილი იყო გერმანელ ინსტრუქტორების ტაქტიკაზე და საზოგადოთ გერმანულ მეცნიერებაზე. ამანაც დიდი სიხარული და ნიღობა დაბადა გერმანულ პრესასა და საზოგადოებაში ბულგარეთისადმი. ასე, რომ 1912 წლის დამლევს ბულგარეთის პოზიცია ომიანობის შემთხვევაში გერმანელებისათვის ცხადი იყო: ის გერმანელების მხარეზე იქნებოდა. რუმინეთის მდგომარეობა ლაპარაკი კაეშის ს არ უნდა დაცილებოდა, გერმანელთა მაშინდელ ჰიპოტეზით, თუმცა ამყარებდნენ დიდ იმედებს თვით დედოფალზეც. ცუდ შთაბეჭდილებას ამდენად უკილობდა ბერძნობა, რომლის ტახტის წარმომადგენელმა ბერლინში გერმანელების ზეგავლენას დაუმადლა ბერძენთა დაშქრის გამარჯვებანი ოსმალეთთან ომში, პარიზში ჩასვლისას კი ფრანგებს.

ასე, რომ საერთო და ზოგად მოხაზულობით გერმანელებს მშვენივრად და სწორედ ჰქონდათ გარკვეული თავიანთი მდგომარეობა მომავალ ომიანობისას. მათი დიპლომატიის მუშაობა 1914 წ. ატეხილმა ომმა და მისმა შედეგებმა საგანგებით გაამართლა. მეგრძოლთა შეჯგუფება ორ მოპირდაპირე ბანაკად მოხდა სწორედ ისე, როგორც მოელოდა გერმანელობა.

ზეხულიერი და ზნეობრივი პრინციპი.

შეიძლება მივიღოთ ისტორიისა და სოციოლოგიის კანონათ, რომ საერთო შეჯახებებში იმარჯვებს მხოლოდ ის სახელმწიფო, რომელიც ყველაზე უფრო ძლიერი და საღი თავისი შინაგანი განვითარებით: რო ორც ფიზიკურად, ისე სულიერადაც. ნაპოლეონის მიერ შექმნილი სახელმწიფო იყო მხოლოდ შეკოწწეული ერთეული შინაგანთ მოქიშპე ელემენტებისაგან. ის უსათუოდ უნდა დარღვეულიყო. შინაგანი ზრდა სახელმწიფოისა შეიძლება მხოლოდ მის ელემენტთა კულტურულ და სულიერ ერთგვაროვნობის საფუძველზე, თუ არსებობს ამ ელემენტთა შორის მეტი საერთო და ნაკლები სხვა და სხვაობა. ეს კი ნიშნავს ისტორიულად ერთიანობას თუ არა ერთ და იგივეობას ამ ელემენტებისას. გერმანიაც ძლიერია მითი, რომ მისი ელემენტები, შექმნილი შინაგან ძლიერებისა და სულიერ წარმატებისა, არა მარტო ურთიერთ შორის მსგავსია, არამედ არსებითად ერთი და იგივე—გერმანელია, ამისათვის მთელს გერმანულს ერს ერთი და იგივე აზრი თუ გრძნობა და გატაცება ერთი და იგივე მასშტაბით ადვილად მოედება და ქვეყნის ყველა კუთხეებში სისწრაფით ვრცელდება. სახელმწიფო ენტუზიაზმი, თავგანწირულობის გრძნობა ერთი და იგივე სიძლიერით გადმოსჩქეფს გერმანეთის ყველა მცხოვრებლებისაგან. ამავე სულიერ ფუძეზეა დაყრდნობილი ის მოვლენაც, რომ გერმანელი ძლიერია არა მარტო მეცნიერებაში და ტექნიკაში, არამედ ორგანიზაციითაც. რადგან მათი ფსიხიკა უადრესად ეროვნული—ერთგვარია, ისინი ადვილად ითვისებენ, გრძნობენ საჭიროებას და სარგებლობას ერთი-მეორეზე მიყოლისას, ორგანიზაციულად დარაზმვისას. გერმანელის მორჩილება თავის დღეში არ არის მორჩილება პირადებისადმი—ს ნიშნდობლივი თვისება არჩევს ევროპიელებს, precipue გერმანელებს ეზიელებისაგან—არამედ არის მხოლოდ მორჩილება კანონის ნორმებისა და საზოგადოებრივი (ჯარისა, სახელმწიფოისა, უნივერსიტეტისა და სხვ.) ერთეულისადმი. ამით აიხსნება, რომ ეხლანდელ ომში გერმანელთა თავგანწირულება უადრეს წერტილს აღწევს. ის გერმანელი ქალები, რომლების შესახებ ნახევარ უკულტურო რუსეთში როგორც „მზარეულებზე" ისე ლაპარაკობდენ, ეხლა, ამ ომში, ასრულებენ ყოველგვარ ძმიმე საშუშაოს მამაკაცებისას და ასრულებენ ისე, როგორც არ შეესრულებია თავისი მოვალეობა მილიონიან ჩინოვნიკობას მე-19 საუკუნის საკითხისას. რკინის გზა, ფოსტა, სასწავლებლები, ქსენონები, ქალაქის დაცვა, მუნიციპალური გამგეობენტები, შექმნილი შინაგან ძლიერებისა და სულიერ წარმატებისა, არა მარტო ურთიერთ შორის მსგავსია, არამედ არსებითად ერთი და იგივე—გერმანელია, ამისათვის მთელს გერმანულს ერს ერთი და იგივე აზრი თუ გრძნობა და გატაცება ერთი და იგივე მასშტაბით ადვილად მოედება და ქვეყნის ყველა კუთხეებში სისწრაფით ვრცელდება. სახელმწიფო ენტუზიაზმი, თავგანწირულობის გრძნობა ერთი და იგივე სიძლიერით გადმოსჩქეფს გერმანეთის ყველა მცხოვრებლებისაგან. ამავე სულიერ ფუძეზეა დაყრდნობილი ის მოვლენაც, რომ გერმანელი ძლიერია არა მარტო მეცნიერებაში და ტექნიკაში, არამედ ორგანიზაციითაც. რადგან მათი ფსიხიკა უადრესად ეროვნული—ერთგვარია, ისინი ადვილად ითვისებენ, გრძნობენ საჭიროებას და სარგებლობას ერთი-მეორეზე მიყოლისას, ორგანიზაციულად დარაზმვისას. გერმანელის მორჩილება თავის დღეში არ არის მორჩილება პირადებისადმი—ს ნიშნდობლივი თვისება არჩევს ევროპიელებს, precipue გერმანელებს ეზიელებისაგან—არამედ არის მხოლოდ მორჩილება კანონის ნორმებისა და საზოგადოებრივი (ჯარისა, სახელმწიფოისა, უნივერსიტეტისა და სხვ.) ერთეულისადმი. ამით აიხსნება, რომ ეხლანდელ ომში გერმანელთა თავგანწირულება უადრეს წერტილს აღწევს. ის გერმანელი ქალები, რომლების შესახებ ნახევარ უკულტურო რუსეთში როგორც „მზარეულებზე" ისე ლაპარაკობდენ, ეხლა, ამ ომში, ასრულებენ ყოველგვარ ძმიმე საშუშაოს მამაკაცებისას და ასრულებენ ისე, როგორც არ შეესრულებია თავისი მოვალეობა მილიონიან ჩინოვნიკობას მე-19 საუკუნის საკითხისას. რკინის გზა, ფოსტა, სასწავლებლები, ქსენონები, ქალაქის დაცვა, მუნიციპალური გამგეობა

საქართველოს

ბოლოდროინდელი ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა ... ...

მთავრობის წრეებში

8 აგვისტოს მთავრობის სხდომაზე სასურსათო მინისტრის მოხსენებით დაადგინეს დაეევალოს სასურსათო სამინისტროს საბოლოოდ მოფერიგდეს ადგილობრივ ჯანის მთავრობას ხორბალზე შაქრის გაცვლის შესახებ. საინტენდანტოს უფლება მიეცეს ჯარისთვის საჭირო პური შეიძინოს, იმ პირობით რომ სასურსათო მინისტრს შეუთანხმდეს ფასის შესახებ.

—

რკინის გზის მთავარ კომიტეტს უფლება მიეცა პური შეიძინოს მთავარ საწყობში მყოფ სხვა და სხვა საქონელზე გაცვლის სახით.

—

აბხაზეთის მინისტრის განკარგულებაში 10000 მან. გადაიდო.

—

მთავრობამ დაამტკიცა ეროვნულ საბჭოს სამანდატო კომისიის კანონპროექტი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ.

—

სინოდალურ კონტორის შუამდგომლობა დამატებით 65000 მან. გადადების შესახებ არ იქნა შეწყნარებული.

—

მინისტრების და მათი ამხანაგების ჯამაგირებისთვის წლის ბოლომდის 207000 მან. გადაიდო.

—

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარეთ თოფურიძის მაგივრად კ. გვარჯალაძე დაინიშნა.

—

მოქ. გრიგორ ხაჩატურისძე გრიგოლიანცის შუამდგომლობა გვარის გამოცვლის შესახებ, რომ გრიგოლია დაერქვა დაკმაყოფილებულ იქნა.

ქრონიკა

თბილისი.

ბაქოს აღება. პარასკევს 2 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ადერბეიჯანლებმა თურქებთან ერთად ბაქო აიღეს.

ბაქო. მასალა ცნობებით ბაქოზე იგრიშებს ორი მიმართულებით აწარმოებდნენ: სულგომანოვის რაზმი მიდიოდა შემახის მხრით, სოლიმოვისა ეჯიკაბულით. ბაქოში პირველად სოლიმოვი შევიდა. მუსულმანთა რაზმებმა ტყვეთ წაიყვანეს 5.000 და გამოაკლეს ბაქოს გარნიზონს დაჭრილებით და დაზიანებულებით 7 ათასი კაცი სამხედროები არ გადუფუჭებიათ. ასტრახანისკენ წავიდა.

ხოლერა ფოთში და ლტოლვილები. ფოთის ქალაქის თავი დეპეშით იტყობინება რომ ქალაქში ხოლერა ერცელდება რის გამოც გადმოხვეწილთა ზღვით რუსეთისაკენ გზავნა შეწყვეტილია. მოითხოვს განკარგულებას დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქნას გადმოხვეწილთა ფოთისაკენ გზავნა.

ფინანსთა მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებს, რომ გაუგებრობის და ბიუროკრმოქმედების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყველა თხოვნა, რაც ფულის მიღებას შეეხება განსაკუთრებულის ყურადღებით იქნას განხილული და მხოლოდ ისეთები დაკმაყოფილონ, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია და საწრფო. საჭიროა აგრეთვე საბუღალტრის შემოწმება, რათა ისეთმა პირებმა, არ მიიღონ, რომელთაც მიღებული აქვთ ან ისეთ დაწესებულებებს არ მივცეთ, რომელთა დაკვიდაცია მოხდა.

წყალის ანალიზი. თათრის ბაზარის რაიონში, ანალიზმა გამოარკვია, რომ წყალი უვარგისია.

უცხოელებისაგან ხაქართველოში ლვინის დაკვეთა. საქართველოს სახელმწიფოს ზვრების საამქართველოს დიდ ძალი ღვინო შეუკვეთეს გერმანიიდან, ავსტრიიდან ბულგარეთიდან და რუმინეთიდან. ღვინოში დიდ ფასს იძლევიან. ამ სახელმწიფოში სპირტეულობის უქონლობის გამო დიდი კრიზისია.

ლტოლვილების დასახლება. ახალციხის და ახალქალაქის მაზრების ჩამოვრის შემდეგ საქართველოში დიდი ძალი ქართველი ლტოლვილები დასახლდნენ. მთავრობამ მათ სერიოზული ყურადღება მიაქცია. განზრახულია მათ დასახლება საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში. ამის გამო მთავრობა შეეკითხა მიწადმოქმედების მინისტრს, შეატყობინოს თუ სად შეიძლება მათი დასახლება.

ოთხშაბათს, 7 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე შესდგება სამთო-საქიმიო სექციის კრება, რომელზედაც ინ. ივ. ყიფშიძე დაამთავრებს მახსენებას შემდეგ თემაზე: „სამთო-მადნო კანონმდებლობის ძირითადი დებულებანი უცხოეთში“.

ქართულ ტექნიკურ ხაზოგადოების კრება. სამშაბათს, 6 აგვისტოს, ფერეიდანის ქუჩაზე № 11, საღამოს 8 საათზე შესდგება ქართულ ტექნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც ინ. ვ. კაკაბაძე დაამთავრებს თავის მოხსენებას—„ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“; ამავე კრებაზე გაირჩევა ფრაზად საყურადღებო მიმდინარე საკითხები.

სასამართლო და სკეკულიანცევი

1 აგვისტოს სარეკოლიუციო ტრიბუნალმა გაარჩია სამი საინტერესო საქმე:

1. ქ. იანულევიჩმა რომ უფრო იაფი დასჯდომოდა თვითონ შეიძინა ფეხსაცმელების მასალა და რის ხელწინით ძალიან დაიყოლია ფეხსაცმელების ხელოსანი აბოვიანცი შესაკერი ფასი აიღო 150 მ. (ნიჩრი 80 მ.) ფეხსაცმელები ერთ კვირაზე უნდა ყოფილიყო ეზად. მაგრამ ხელოსანმა მხოლოდ სამი კვირის შემდეგ გადასცა ფეხსაცმელები პატრონს და ისიც საძირე ფეხსაცმელებისა, რომელიც შემკვეთმა მიუტანა, თითონ აღარ და მის მაგივრ უბრალო ტყავი დაადო. იანულევიჩმა საჩივარი აღძრა სათანადო მთავრობაში. სასინტერესოა, რომ ის პირი, რომელსაც უნდა მიეღო საჩივარი არწმუნებდა მომჩივარს არ ეჩივლა, „სულ ერთია სასამართლო საქმეს ხელოსნის სასარგებლოდ გადასწყვეტსო“. იანულევიჩის იმედზე, რომ ტრიბუნალი უმეცველად დასჯის დამნაშავეს,—ის პირი ეუბნებოდა, „დიდიხანია ტრიბუნალის ლიკვიდაცია მოხდაო. სასამართლომ ხელოსანი 3,000 მან. დააჯარიმა.

2. ვინმე პომოგაევმა თავისი ბინიდან ერთი ოთახი დაუთმო ლტოლვილ ჯაბშიევს თვეში 200 მ. და ერთ ფუთ ფქვილად. რამდენიმე ხნის შემდეგ პომოგაევმა განიზრახა ამ მდგომარეობის დათხოვნა და ოთახის უკეთეს პირობებში გაქირავება. ჯაბშიევმა ტრიბუნალში იჩივლა. პომოგაევი დაჯარიმეს 500 მ., ხოლო მოსჩივარი 300 მან. უკანონო საქმის დაპერისათვის.

3. მოხელე რეგერმა, რომელიც სამ ოთახში იხდის ქირას 38 მ. ორი ოთახი მიაქირავა თვეში 200 მან. რუბის შტეინს იმ პირობით, რომ აეყვანა ეღირა 1200 მან. ამასთანავე 700 მან. წინდაწინ აიღო ბედ. ტრიბუნალმა რეგერს 7 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა, 1000 მან. ჯარიმა და 700 მან. დაბრუნება ნოქირაენესათვის.

დეპეშა

მიღებულია ხარკოვის რადიო-სადგურიდან, სავსებით ნათლად გამოირკვა, რა განზრახვაა ჩვენი ყოფილ მოკავშირეებისა რუსეთის გერმანიასთან ახალ ომში ჩათრევის შესახებ, საბჭოთა მთავრობა აქვეყნებს შოწოდებას, რომლითაც მოუწოდებს მთელი ქვეყანის პროლეტარიატს, შეებრძოლოს იგი ყოველი საშუალებით ხალხის სულის შემხუთავ მეომარ კოალიციების იმპერიალიზმს. ამ მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: ინგლისი და მისი მოკავშირენი გულგატეხილნი გერმანიის ბრძოლის ველზე დამარცხების იმედით ურუსეთოდ, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ რუსეთში შეჰქმნან შესაფერი განწყობილება, ძოაწყონ ჯარი და ხელახლა ჩაითრიონ სისხლის მღვრელ ომში. ინგლისისათვის აშკარა უნდა იყოს, რომ გერმანიის იმპერიალიზმის გატეხა შეძლება არა მეორე კოალიციის იმპერიალიზმით, არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის სოლიდარული შეტევით. მაშასადამე, კი არ უნდა განვაგრძოთ ომი, რომელიც უფრო აძლიერებს მილიტარიზმის და ბურჟუაზიის პოზიციას, რაც შეიძლება ადრე უნდა გავითავოთ იგი, რომ შემდეგ დავიწყოთ კლასობრივი ბრძოლა, რომელიც დათვდება ყველა ხალხის სოციალური და ნაციონალური სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით. ამ ხასიათისა მუშების და გლეხების, ინგლისის, საფრანგეთისა და შეერთებული შტატებისა, რუსეთის გერმანიასთან ომში ჩათრევა არ გიხსნით სისხლის დვრისგან, მხოლოდ გაძლიერებს მას და მსხვერპლად მოუტანთ გერმანიის იმპერიალიზმს რევოლუციონური რუსეთის მუშებისა და გლეხების რევოლუციით მონაპოვარს. ეს სწორედ შეეფერება გერმანიის მილიტარისტულ განზრახვებს, რომელსაც ყველაზე ძალიან ეშინიან რუსეთის რევოლუციის ანთებული ნაპერწკლებისა. თქვენ ხედავთ რა მარჯილ იარაღად თქვენი მთავრობების ბორიტ განზრახვებისა რუსეთის წინააღმდეგ, თქვენ, ამხანაგებო მუშებო და გლეხებო ინგლისის, საფრანგეთის, შეერთებული შტატების და იტალიისა ამმაგე დროს ხელებით რუსეთის რევოლუციის ჯალათებათ.

რადგან ტელეფონას და ტელეგრაფის კავშირი ტფილისის რადიო ხადგურთან შეწყვეტილია, ამიტომ საგენტოს სხვა დეპეშები არ გადმოუცია.

უცხოეთის ამბები

კავკაკი. სდგომარეობა გამოურკვეველია. ყაზახების და კომისართა საბჭოს ურთიერთებაზე ლაპარაკიც კი მეტია. ყაზახები შეიდროდ ირიან შეიარაღებული კავკაკზე რითაც შეიქნა სურსათის კრიზისი და გირვანქა პურმა 2 მან. აიწია, რაც წარმოუდგენელია კავკასიისათვის. ეს მდგომარეობა საქართველოსაც ხელს უშლის კავკასიაში, რომელთაც აქვს დიდი საწარმოო თანხები და მოქმედების ფართო ასპარეზები. ეს ამხანაგობები ხელს უწყობენ მთავრობას 1) საჭირო ნივთების წარმოება-ფაბრიკაციაში 2) უკვეთა საქონლის მიმხარებლებზე გაწეწილებაში და 3) საჭირო მასალების ქვეყნის ყველა კუთხეებიდან შესყიდვის საქმეში. ეს ამხანაგობანი ირის უფლესად კომერციულ ნიადაგზე მოწყობილი, ხოლოდ მუშაობენ, არა ვარაუდით როგორც ომამდე, როდესაც მინიგან ბაზრის პირობებიც კი საათრო იყო, არამედ მთავრობასთან, მთავრობის სტატისტიკურ ცნობებისა და მოთხოვნილების მიხედვით, მათ შრომისა და კაპიტალ სათვის აქვთ თავიანთი პროცენტები მოგებისა (Profit).

ოდესა

